11962/3-48/21 2 08122021

11962/3-48/21
08-12-2021

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
მინისტრს ირაკლი ქარსელაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცის თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი მაგისტრალის მშენებლობა რა ეტაპზეა და როდის გაქვთ დაგეგმილი აღნიშნული პროექტის დასრულება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით კირკიტაძე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

4398-01-2-202112231219

N 01/4398
23/12/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ დავით კირკიტაძეს

ბატონო დავით,

თქვენი 2021 წლის 8 დეკემბრის 11962/3-48/21 განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის № 7131/01; 08.12.2021) პასუხად გაცნობებთ, რომ სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით განახორციელა თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოდერნიზაციის სამუშაოები. პირველი და მესამე მონაკვეთების სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2016 წლის მაისში (სიგრძე 10,4 კმ). მეორე მონაკვეთის საპროექტო სიგრძე შეადგენდა 6,8 კმ-ს, საიდანაც 3.6 კმ დასრულდა 2020 წლის ოქტომბერში. სამივე მონაკვეთი მიღებულია ექსპლუატაციაში. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები პროექტის დარჩენილი მონაკვეთის დასასრულებლად.

პატივისცემით,

ილია ბეგიაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722